

ანგარიში


ხარაგაულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველი ერთეულის 2020 წლის წლიური

ბიუჯეტის შესრულების შესახებ

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველი ერთეულის 2020 წლის დამტკიცებული ბიუჯეტი შემოსულობების ნაწილში განისაზღვრებოდა 8 260,5 ათასი ლარით, აქედან მიზნობრივი ტრანსფერი შეადგენდა 140,0 ათას ლარს, ხოლო საკუთარი შემოსულობები 8 120,5 ათას ლარს, მ.შ. გადასახადები განსაზღვრული იყო 6 698,9 ათასი ლარი, სხვა შემოსავლები 1 396,6 ათასი ლარი და არაფინანსური აქტივების კლებიდან მისაღები შემოსულობები 25,0 ათას. ლარი.

წლის განმავლობაში განხორციელებული საბიუჯეტო ცვლილების შედეგად მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი შემოსულობების ნაწილში გაიზარდა 7 140,0 ათასი ლარით მ. შ. გაიზარდა სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდიდან გამოყოფილი ტრანსფერი 7 637,9 ათასი ლარით და შემცირდა საკუთარი შემოსავლები 497,9 ათ. ლარით, კერძოდ ახალი კორონა ვირუსის „COVID -19“ გავრცელების აღკვეთის მიზნით ქვეყანაში შექმნილი საგანგებო მდგომარეობის გამო განხორციელებული სეკვესტრის შედეგად შემცირდა დღგ-დან და ჯარიმებიდან მისაღები შემოსავლები. 2020 წლის დაზუსტებული ბიუჯეტის შემოსულობები საბოლოოდ განისაზღვრა 15400,5 ათასი ლარით, სადაც სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერი შეადგენს 8 596,1 ათას ლარს, გადასახადები 5 879,2 ათას ლარს, სხვა შემოსავლები 900,2 ათას ლარს და არაფინანსური აქტივების კლება 25,0 ათას ლარს.


იხ. დიაგრამა N1



ფაქტიურად 2020 წელს მუნიციპალიტეტმა მიიღო 16 102,9 ათასი ლარის შემოსულობები, აქედან 7047,1 ათასი ლარის გადასახადები, 7618,7 ათასი ლარი სახ. ბიუჯეტიდან გამოყოფილი ტრანსფერები, 1 305,9 ათასი ლარის სხვა შემოსავლები და 131,3 ათასი ლარი არაფინანსური აქტივების კლებით მიღებული შემოსავლები.

შემოსულობების გეგმა შესრულებულია 104,2 %-ით. **იხ. დიაგრ. N 2**

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის ფაქტიური შემოსულობები 16 102,9 ათ. ლარი



- გადასახადები 7 047,1 ათასი ლარი
- სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები 7 618,7 ათასი ლარი
- სხვა შემოსავლები 1 304,9 ათასი ლარი
- არაფინანსური აქტივების კლება 131,3 ათ. ლარი

1. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის 2020 წლის ძირითადი მაჩვენებლების შესრულება

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ბალანსი

ცხრ. N 1

დასახელება	2020 წლის დაზუსტებული გეგმა	2020 წლის იანვარ-დეკემბრის შესრულება	ხვედრითი წილი
შემოსავლები	15 375,5	15 971,7	
გადასახადები	5 879,2	7 047,1	44,1
გრანტები	8 596,1	7 618,7	47,7
სხვა შემოსავლები	900,2	1 306,0	8,2
ხარჯები	8 722,1	8 128,0	
შრომის ანაზღაურება	1 724,1	1 645,9	20,3
საქონელი და მომსახურება	1 709,3	1 443,6	17,8
პროცენტი	32,9	32,9	0,4
სუბსიდიები	3 929,7	3 843,1	47,3
გრანტები	33,5	33,3	0,4
სოციალური უზრუნველყოფა	756,8	740,7	9,1
სხვა ხარჯები	535,8	388,5	4,8
საოპერაციო საღდო	6 653,422	7 843,736	
არაფინანსური აქტივების ცვლილება	11 525,926	8 787,041	
ზრდა	11 550,926	8 918,312	
კლება	25,000	131,271	
მთლიანი საღდო	-4 872,504	-943,305	
ფინანსური აქტივების ცვლილება	-4 923,458	-994,227	
ზრდა	0,000	0,000	
ვალუტა და დეპოზიტები	0,000	0,000	
კლება	4 923,458	994,227	
ვალუტა და დეპოზიტები	0,000	0,000	
ვალდებულებების ცვლილება	-50,954	-50,922	
კლება	50,954	50,922	
საშინაო	0,000	0,000	
ბალანსი	0,000	0,000	

ცხრ. N 1-ის შესაბამისად, ბიუჯეტის ბალანსის მიხედვით 2020 წლის ბიუჯეტის შემოსავლები დაგეგმილი 15 375,5 ათასი ლარის ნაცვლად მიღებულია 15 971,7 ათასი ლარი. მიღებულ შემოსავლებში ყველაზე მეტი ხვედრითი წილი მოდის გრანტებზე და შეადგენს 7 618,7 ათას ლარს 47,7 %-ს, მეორე ადგილი გადასახადებზე მოდის და შეადგენს 7 047,1 ათას ლარს, ანუ 44,4 % -ს, სხვა შემოსავლების ხვედრითი წილი მთლიან შემოსავლებში შეადგენს 1 306,0 ათას ლარს 8,2 % -ს.

ხარჯები დაგეგმილი 8 722,1 ათასი ლარის ნაცვლად გაწეულია 8 128,0 ათასი ლარი, სადაც ყველაზე მეტი ხვ. წილი სუბსიდირებაზე მოდის და შეადგენს 3843,1 ათ. ლარს, 47,3%-ს, მეორე ადგილი უჭირავს შრომის ანაზღაურებას 1645,9 ათ. ლარი - 20,3 %, სოციალურ უზრუნველყოფაზე მიმართულია 740,7 ათასი ლარი 9,1 %.

2020 წლის პირველი იანვრისათვის ხარაგაულის მუნიციპალიტეტს ერიცხებოდა 4 988,9 ათასი ლარი საბიუჯეტო სახსრების თავისუფალი ნაშთი, საიდანაც საბიუჯეტო ცვლილებების შედეგად 2020 წლის ბიუჯეტში სხვადასხვა ვალდებულებებისა და ხარჯების დასაფარავად მიმართული იქნა 4 923,5 ათასი ლარი, მათ შორის 3 713,5 ათასი ლარი სახელმწიფო ფონდებით გამოყოფილი სახსრების ნაშთებიდან და 1 210,0 ათასი ლარი საკუთარი საბიუჯეტო სახსრების ნაშთიდან.

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის შემოსულობები

ცხრ. N 2

დასახელება	2019 წლის ფაქტი	2020 წლის გეგმა	2020 წლის ფაქტი	წლიური გეგმის შესრ. %	სხვაობა 2020 წლის გ/ფ შორის	სხვაობა 2019 და 2020 წ შორის
შემოსულობები	16 554,8	15 400,5	16 103,0	104,6	702,5	-451,8
გადასახადები	6 370,9	5 879,2	7 047,1	119,9	1 167,9	676,2
ქონების გადასახადი	1 194,7	1 100,0	2 059,9	187,3	959,9	865,2
საქართველოს საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	242,1	200,0	1 087,6	543,8	887,6	845,5
არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე	952,6	900,0	972,3	108,0	72,3	19,7
დამატებული ღირებულების გადასახადი	5 176,2	4 779,2	4 987,2	104,4	208,0	-189,0
გრანტები	6 790,0	8 596,1	7 618,7	88,6	-977,5	828,7
სხვა შემოსავლები	3 337,4	900,2	1 306,0	145,1	405,8	-2 031,4
პროცენტები			2,1		2,1	2,1
მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის	48,7	50,0	87,5	175,1	37,5	38,8
შემოსავალი მიწის იჯარიდან და მართვაში (უზურფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან	82,2	55,0	49,1	89,3	-5,9	-33,1
სანებართვო მოსაკრებელი	51,3	1,6	52,1		50,5	0,8
ადგილობრივი მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის	43,5	40,0	44,7	111,7	4,7	1,2
ჯარიმები, სანქციები და საურავები	1 983,6	619,7	772,6	124,7	152,9	-1 211,0
შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები (წინა წელს გადარიცხული და მიმდინარე წელს უკან დაბრუნებული სახსრები)	1 128,1	133,9	297,9	222,5	164,0	-830,2
არაფინანსური აქტივების კლება	53,8	25,0	131,3	525,1	106,3	77,5
ძირითადი აქტივები	48,9	15,0	44,9	299,5	29,9	-4,0

დასახელება	2019 წლის ფაქტი	2020 წლის გეგმა	2020 წლის ფაქტი	წლიური გეგმის შესრ. %	სხვაობა 2020 წლის გ/გ შორის	სხვაობა 2019 და 2020 წ შორის
არაწარმოებული აქტივები	4,9	10,0	86,3	863,4	76,3	81,4
მიწა	4,9	10,0	86,3	863,4	76,3	81,4

ცხრ. N 2 თანახმად, ხარაგაულის მუნიციპალიტეტს 2020 წელს დაგეგმილი 15 400,5 ათასი ლარიდან მიღებული აქვს 16 102,9 ათასი ლარის შემოსულობები და გეგმა შესრულებულია 104,6 %, გეგმის ზევით მობილიზებულია 702,5 ათასი ლარი, თუმცა გასულ 2019 წელთან შედარებით მიღებულია 451,8 ათასი ლარით ნაკლები შემოსულობები (2019 წელს მუნიციპალიტეტს მიღებული ქონდა 16 554,8 ათასი ლარის შემოსულობები.) შემოსულობების შემცირება ძირითადად გამოწვეულია ჯარიმებიდან მიღებული შემოსავლების კლებით, რომლის მიზეზიც ძირითადად არის ჩუმათელეთი - ზესტაფონის გზის მონაკვეთის რეაბილიტაციისა და ქვეყანაში დაწესებული საგანგებო მდგომარეობის შემოღებით გამოწვეული შეზღუდვები. ასევე შეცირებულია დღგ-დან და მიწის იჯარიდან მიღებული შემოსავლები ქვეყანაში გავრცელებული კორონა ვირუსის „COVID -19” -ის გამო საგანგებო მდგომარეობით შემოღებული შეზღუდვებით.

გადასახადები დაგეგმილი 5 879,2 ათასი ლარის ნაცვლად შემოსულია 7 047,1 ათასი ლარი, გეგმა შესრულებულია 119,9%-ით. მათ შორის საწარმოთა ქონების გადასახადი 200,0 ათასი ლარის ნაცვლად 1 087,6 ათასი ლარი, ქონების გადასახადი არასასოფლო სამურნეო დანიშნულების მიწაზე 900,0 ათასი ლარის ნაცვლად 972,3 ათასი ლარი, დამატებული ღირებულების გადასახადი 4 779,2 ათასი ლარის ნაცვლად 4 987,2 ათასი ლარი. ამასთან გადასახადები 2019 წელთან შედარებით მიღებულია 676,2 ათასი ლარით მეტი. გადასახადების გაზრდა გამოწვეულია საწარმოთა ქონების გადასახადის ზრდით.

ბ) სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი ტრანსფერები მუნიციპალიტეტმა დაგეგმილი 8 596,1 ათასი ლარის ნაცვლად მიიღო 7 618,7 ათასი ლარი, აღსანიშნავია რომ ყველას სახის ტრანსფერი, რომელსაც ცენტრალური ბიუჯეტიდან იღებდა მუნიციპალიტეტი სრულად იქნა მიღებული, გარდა 950,0 ათასი ლარის ფინანსური დახმარებისა, რომელიც მუნიციპალიტეტს გამოეყო საქ. მთავრობის N 1570 განკარგულებით სეკვესტრის გამო. ასევე სპეციალური ტრანსფერზე დაკლებულია 27,0 ათ. ლარი. მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად მიღებულია 506,3 ათასი ლარი, მ.შ. 366,3 ათასი ლარი საქ. მთავრობის N 27 განკარგულებით მოსწავლეთა ტრანსპორტირებისათვის.

საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან მუნიციპალიტეტმა 4 516,5 ათასი ლარი მიიღო საქ. მთავრობის N 2630 განკარგულებით; 890,0 ათასი ლარი საქ. მთავრ. N 2752 განკარგულებით, სოფლის მხარდამჭ. პროგრამის ფარგლებში. სპეციალური ტრანსფერი 950,0 ათასი ლარის ნაცვლად მიიღო 923,0 ათასი ლარი საქ. მთავრობის N 325 განკარგულებით და საჯარო სკოლების რეაბილიტაციისათვის გამოყ. ტრანსფერი 783,3 ათ. ლარი, საქ. მთავრობის N 27 განკარგულებით.

მიუხედავად იმისა, რომ ხარაგაულის მუნიციპალიტეტისათვის რეგ. განვითარების ფონდიდან თავდაპირველად გამოყოფილი ტრანსფერი წლის ბოლოს საგრძნობლად შემცირდა მუნიციპალიტეტმა 2020 წელს წინა 2019 წელთან შედარებით მაინც 828,7 ათასი ლარით მეტი ტრანსფერი მიიღო.

გ) სხვა შემოსავლები დაგეგმილი 900,2 ათასი ლარის ნაცვლად მუნიციპალიტეტმა მიიღო 1 306,0 ათასი ლარი, ე.ი. დაგეგმილზე 405,8 ათასი ლარით მეტი.

აქედან თითქმის ყველა სახეში გეგმა შესრულდა დიდი გადაჭარბებით იჯარიდან მისაღები შემოსავლების გარდა. რომლის შესრულებლობის მიზეზიც ასევე ქვეყანაში მიმდინარე პანდემიაა, რის გამოც მოიჯარადეებს გადაუვადდათ გადასახადი.

მათ შორის მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის დაგეგმილი 50,0 ათ. ლარის ნაცვლად მიღებულია 87,5 ათ. ლარი; მიწის იჯარიდან შემოსავალი 55,0 ათ. ლარის ნაცვლად 49,1 ათ. ლარი. სანებართვო მოსაკრებელი 1,6 ათასი ლარის ნაცვლად 52,1 ათასი ლარი. დასუფთავების მოსაკრებელი 40,0 ათასი ლარის ნაცვლად 44,7 ათასი ლარი, შემოსავალი ჯარიმებიდან, სანქციებიდან და საურავებიდან 619,7 ათასი ლარის ნაცვლად 772,6 ათასი ლარი და შერეული არაკლასიფიცირებული შემოსავალი 133,9 ათასი ლარის ნაცვლად 297,9 ათასი ლარი, რომელიც შემოვიდა ხელშეკრულებების შეწყვეტის გამო.

დ) არაფინანსური აქტივების კლებიდან დაგეგმილი 25,0 ათასი ლარის ნაცვლად მიღებულია 131,3 ათასი ლარი, მათ შორის 44,9 ათასი ლარი ძირითადი ქონების გაყიდვიდან ხოლო 86,3 ათასი ლარი მიწის გაყიდვიდან.

2. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გასახდელების შესრულება

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის გადასახდელები დაგეგმილი 20 323,9 ათასი ლარიდან დაფინანსდა 17 097,2 ათასი ლარით, 84,1 %-ით და გასული 2019 წლის ბიუჯეტის გადასახდელებს 745,4 ათასი ლარით აღემატება. 2019 წელს გაწეული იქნა 16 351,8 ათასი ლარის ხარჯი.

ცხრ. N 4

ორბ. კოდი	'ხარაგაულის მუნიციპალიტეტი	2019 წლის ფაქტი	2020 წლის გეგმა	2020 წლის ფაქტი	წლიური გეგმის შესრ. %	სხვაობა 2020 წლის გ/ფ შორის	სხვაობა 2019 და 2020 წ შორის
	ხარაგაულის მუნიციპალიტეტი	16 351,8	20 323,972	17 097,203	84,1	-3 226,8	745,4
01 00	მმართველობა და საერთო დანიშნულება	2 471,1	2 497,100	2 298,951	92,1	-198,1	-172,1
01 01	საკანონმდებლო და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსება	2 420,1	2 399,139	2 215,123	92,3	-184,0	-205,0
01 01 01	ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულო	617,4	631,534	601,464	95,2	-30,1	-15,9
01 01 02	ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერია	1 720,1	1 679,647	1 536,430	91,5	-143,2	-183,7
01 01 03	სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახური	82,6	79,958	73,939	92,5	-6,0	-8,7
01 01 04	კადრების მომზადება-გადამზადებასთან, კვალიფიკაციის ამაღლებასა და სტაჟირებასთან დაკავშირებული ხარჯი	0,0	8,0	3,290	41,1	-4,7	3,3
01 02	საერთო დანიშნულების ხარჯები	51,0	97,961	83,828	85,6	-14,1	32,8
01 02 01	სარეზერვო ფონდი	0,0	9,1	0,000	0,0	-9,1	0,0

ორბ. კოდი	'ხარაგაულის მუნიციპალიტეტი	2019 წლის ფაქტი	2020 წლის გეგმა	2020 წლის ფაქტი	წლიური გეგმის შესრ. %	სხვაობა 2020 წლის გ/ფ შორის	სხვაობა 2019 და 2020 წ შორის
01 02 02	წინაპერიოდში წარმოქმნილი და ვალდებულებების დაფარვა და სასამართლოს გადაწყვეტილებების აღსრულების ფინანსური უზრუნველყოფა	0,0	5,0	0,000	0,0	-5,0	0,0
01 02 03	მუნიციპალიტეტის ვალდებულებების მომსახურება და დაფარვა	51,0	83,9	83,828	99,9	-0,1	32,8
02 00	ინფრასტრუქტურის განვითარება	8 163,5	11 329,887	8 614,596	76,0	-2 715,3	451,1
02 01	საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება	7 150,0	9 745,364	7 332,118	75,2	-2 413,2	182,1
02 01 01	გზების კაპიტალური შეკეთება	6 390,2	8 122,4	5 925,562	73,0	-2 196,8	-464,6
02 01 02	გზების მიმდინარე შეკეთება	231,0	160,8	125,378	77,9	-35,5	-105,6
02 01 04	ხიდების, ბოგიერების მშენებლობა, რეაბილიტაცია	519,5	1 430,1	1 270,265	88,8	-159,8	750,8
02 01 05	მოსახლეობის საზოგადოებრივი ტრანსპორტით უზრუნველყოფა	9,3	32,0	10,913	34,1	-21,1	1,6
02 02	წყლის სისტემის განვითარება	74,0	157,723	79,681	50,5	-78,0	5,7
02 02 01	წყლის სისტემის რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია	73,1	127,018	50,683	39,9	-76,3	-22,4
02 02 02	კანალიზაციის სისტემების განვითარება (სანიადვრე არხების მოწყობა)	0,9	30,705	28,998	94,4	-1,7	28,1
02 03	გარე განათება	0,0	169,0	166,644	98,6	-2,4	166,6
02 03 01	გარე განათების ქსელის ექსპლუატაცია	0,0	169,0	166,644	98,6	-2,4	166,6
02 04	მრავალბინიანი სახლების რეაბილიტაცია	39,9	155,0	24,780	16,0	-130,2	-15,1
02 05	კეთილმოწყობა	122,7	154,878	99,442	64,2	-55,4	-23,3
02 05 03	კეთილმოწყობის ობიექტების მშენებლობა-რეაბილიტაცია	122,7	154,9	99,442	64,2	-55,4	-23,3
02 05 02	სასაფლაოების მოვლა, შემოღობვა	0,0	0,0	0,000		0,0	0,0
02 08	სოფლის მხარდამჭერი პროგრამა	776,9	947,922	911,931	96,2	-36,0	135,0
02 09	სოფლის მეურნეობის დაფინანსება	0,0	0,0	0,000		0,0	0,0
03 00	დასუფთავება და გარემოს დაცვა	1 095,3	974,3	947,932	97,3	-26,4	-147,4
03 01	დასუფთავება და ნარჩენების გატანა	1 095,3	808,400	784,962	97,1	-23,4	-310,3
03 02	მწვანე ნარგავების მოვლა-პატრონობა	0,0	160,4	158,070	98,5	-2,3	158,1
03 03	უპატრონო ცხოველების მოვლითი ღონისძიებები	0,0	5,5	4,900	89,1	-0,6	4,9
04 00	განათლება	2 288,7	2 867,167	2 631,872	91,8	-235,3	343,2


ორბ. კოდი	'ხარაგაულის მუნიციპალიტეტი	2019 წლის ფაქტი	2020 წლის გეგმა	2020 წლის ფაქტი	წლიური გეგმის შესრ. %	სხვაობა 2020 წლის გ/ფ შორის	სხვაობა 2019 და 2020 წ შორის
04 01	სკოლამდელი დაწესებულებების ფუნქციონირება	1 189,8	1 324,0	1 268,095	95,8	-55,9	78,3
04 02	სკოლამდელი დაწესებულებების რეაბილიტაცია, მშენებლობა	0,0	50,328	32,971	65,5	-17,4	33,0
04 03	მოსწავლეთა ტრანსპორტირების მომსახურების პროგრამა	536,0	446,6	404,468	90,6	-42,2	-131,5
04 04	სკოლების რეაბილიტაცია	343,9	856,196	736,351	86,0	-119,8	392,5
04 05	ზოგადი განათლების ხელშეწყობა (ინტერნატი)	114,0	80,0	80,000	100,0	0,0	-34,0
04 06	სკოლისგარეშე განათლების პროგრამა (მოსწავლე ახალგაზრდობის სახლი)	105,0	110,0	109,987	100,0	0,0	5,0
05 00	კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი	1 347,6	1 481,472	1 463,247	98,8	-18,2	115,6
05 01	სპორტის სფეროს განვითარება	401,8	586,967	585,025	99,7	-1,9	183,2
05 01 01	სპორტული ღონისძიებები	5,4	5,000	3,059	61,2	-1,9	-2,3
05 01 02	სპორტისა და შიდა ტურიზმის ხელშეწყობა	396,4	335,512	335,512	100,0	0,0	-60,9
05 01 04	სპორტული ობიექტების რეაბილიტაცია, მშენებლობა აღჭურვა	0,0	246,455	246,454	100,0	0,0	246,5
05 02	კულტურის სფეროს განვითარება	791,4	779,505	765,888	98,3	-13,6	-25,5
05 02 01	კულტურის სფეროს დაწესებულებების ხელშეწყობა	791,4	773,2	764,888	98,9	-8,3	-26,5
05 02 01 01	სახელოვნებო განათლების ხელშეწყობა	109,8	122,0	118,859	97,4	-3,1	9,1
05 02 01 02	კულტურისა და ხელოვნების ხელშეწყობა	671,2	630,500	625,329	99,2	-5,2	-45,9
05 02 01 03	ფოლკლორის ხელშეწყობის პროგრამა	10,4	20,7	20,700	100,0	0,0	10,3
05 02 02	კულტურის ღონისძიებების დაფინანსება	0,0	4,0	1,000	25,0	-3,0	1,0
05 03	მოქალაქეთა ჩართულობისა და ინფორმირების ხელშეწყობის პროგრამა	50,0	50,0	49,998	100,0	0,0	0,0
05 02 03	კულტურის ობიექტების აღჭურვა, რეაბილიტაცია, მშენებლობა	0,0	2,305	0,000	0,0	-2,3	0,0
05 04	რელიგიური ორგანიზაციების ხელშეწყობა	85,0	50,0	50,000	100,0	0,0	-35,0
05 05	ახალგაზრდობის მხარდაჭერა	19,4	15,0	12,336	82,2	-2,7	-7,1
06 00	ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	985,6	1 174,046	1 140,605	97,2	-33,4	155,0
06 01	საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვა და უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფა	132,2	135,0	133,703	99,0	-1,3	1,5
06 02	ჯანმრთელობის დაცვის ობიექტების რეაბილიტაცია, მშენებლობა აღჭურვა	52,7	13,664	3,097	22,7	-10,6	-49,6

ორბ. კოდი	'ხარაგაულის მუნიციპალიტეტი	2019 წლის ფაქტი	2020 წლის გეგმა	2020 წლის ფაქტი	წლიური გეგმის შესრ. %	სხვაობა 2020 წლის გ/ფ შორის	სხვაობა 2019 და 2020 წ შორის
06 03	სოციალური დაცვა	800,7	1 025,382	1 003,805	97,9	-21,6	203,1
06 03 01	სამკურნალო და საოპერაციო ხარჯებით დახმარების პროგრამა	567,1	393,447	391,733	99,6	-1,7	-175,4
06 03 02	კობლერული იმპლანტით მოსარგებლე პირთა დახმარება	0,0	5,0	4,613	92,3	-0,4	4,6
06 03 03	შშმ პირთა დახმარების პროგრამა	0,0	33,8	31,864	94,2	-2,0	31,9
06 03 04	ერთჯერადი ფინანსური დახმარება	0,0	165,0	155,796	94,4	-9,2	155,8
06 03 05	ლეიკემიით დაავადებულთა და დიალიზზე მყოფი პირების დახმარება	0,0	26,8	26,800	100,0	0,0	26,8
06 03 06	მრავალშვილიანი ოჯახების დახმარების ქვეპროგრამა	0,0	13,0	11,700	90,0	-1,3	11,7
06 03 07	მარტოხელა მშობლების დახმარების პროგრამა	0,0	2,0	1,200	60,0	-0,8	1,2
06 03 08	მარჩენალდაკარგულთა დახმარების ქვეპროგრამა	0,0	6,0	5,400	90,0	-0,6	5,4
06 03 09	ყოველთვიური დახმარების პროგრამა	0,0	36,5	36,420	99,8	-0,1	36,4
06 03 10	საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის ომში დაღუპულთა დახმარების პროგრამა	0,0	8,0	8,000	100,0	0,0	8,0
06 03 11	ხანდაზმულთა დახმარების პროგრამა	0,0	1,5	1,500	100,0	0,0	1,5
06 03 12	სადღესასწაულო დღეების დახმარება	0,0	10,0	9,017	90,2	-1,0	9,0
06 03 13	სოციალურად დაუცველ და უპატრონო მიცვალებულთა სარიტუალო მომსახურების პროგრამა	0,0	8,6	7,500	87,2	-1,1	7,5
06 03 14	უკიდურესად გაჭირვებული ოჯახების სათბობი მასალით დახმარების პროგრამა	0,0	1,0	0,000	0,0	-1,0	0,0
06 03 15	ახალშობილთა ოჯახების დახმარების ქვეპროგრამა	25,9	23,0	22,950	99,8	-0,1	-3,0
06 03 16	გარდაცვლილი დევნილის ან ვეტერანის დაკრძალვა	0,8	1,0	0,500	50,0	-0,5	-0,3
06 03 17	სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული და მძიმე საცხოვრებელი პირობების მქონე ოჯახების დახმარება	109,9	166,7	165,931	99,5	-0,8	56,0
06 03 18	უფასო სასაბილი	97,0	114,0	113,747	99,8	-0,3	16,7
06 03 19	სოციალური დაცვის ობიექტების რეაბილიტაცია და ინვენტარით უზრუნველყოფა	0,0	10,0	9,134	91,3	-0,9	9,1


როგორც N 4 ცხრილიდან და დიაგრ. N 3 -დან ირკვევა 2020 წელს 2019 წელთან შედარებით საბოლოოდ ყველა პრიორიტეტზე მეტი თანხა ათვისებული, გარდა მმართველობისა. ხოლო

ხარაგაულის მუნიციპალიტეტისათვის რამდენიმე წელია მთავარი პრიორიტეტი ინფრასტრუქტურის განვითარებაა.

დიაგრამა N 3



დიაგრ. N 4



N 4 დიაგრამაზე ასევე ნათლად არის ნაჩვენები რომ 2020 წელს კვლავ პრიორიტეულია ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია ექსპლუატაცია - პროგრამული კოდი 03 00 ამ პრიორიტეტზე ცხრ. N 5 გათვალისწინებული იყო 11 239,9 ათასი ლარის დახარჯვა, ფაქტიურად დახარჯულია 8 614,6 ათასი ლარი, წინა 2019 წელთან შედარებით 451,0 ათასი ლარით მეტი. 2019 წელს ინფრასტრუქტურაზე გაწეული იყო 8 163,6 ათასი ლარი.

ცხრ. N5

ორგ. კოდი	ხარაგაულის მუნიციპალიტეტი	2020 წლის გეგმა			2020 წლის შესრულება			წლიური გეგმის შესრ. %
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის		
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები	
02 00	ინფრასტრუქტურის განვითარება	11 329,9	9 759,0	1 570,9	8 614,6	7 488,5	1 126,1	76,0
02 01	საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება	9 745,364	8 640,882	1 104,482	7 332,118	6 491,663	840,455	75,2
02 01 01	გზების კაპიტალური შეკეთება	8 122,4	7 367,927	754,482	5 925,562	5 374,015	551,547	73,0
02 01 02	გზების მიმდინარე შეკეთება	160,8	104,049	56,8	125,378	70,686	54,692	77,9
02 01 04	ხიდების, ბოგირების მშენებლობა, რეაბილიტაცია	1 430,1	1 168,906	261,2	1 270,265	1 046,962	223,303	88,8
02 01 05	მოსახლეობის საზოგადოებრივი ტრანსპორტით უზრუნველყოფა	32,0	0,000	32,0	10,913	0,000	10,913	34,1
02 02	წყლის სისტემის განვითარება	157,723	57,723	100,000	79,681	45,348	34,333	50,5
02 02 01	წყლის სისტემის რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია	127,018	27,018	100,000	50,683	16,350	34,333	39,9
02 02 02	კანალიზაციის სისტემების განვითარება (სანიადვრე არხების მოწყობა)	30,705	30,705	0,0	28,998	28,998	0,000	94,4
02 03	გარე განათება	169,0	0,000	169,0	166,644	0,000	166,644	98,6
02 03 01	გარე განათების ქსელის ექსპლუატაცია	169,0	0,000	169,0	166,644	0,000	166,644	98,6
02 04	მრავალბინიანი სახლების რეაბილიტაცია	155,0	63,000	92,0	24,780	0,000	24,780	16,0
02 05	კეთილმოწყობა	154,878	64,878	90,000	99,442	50,391	49,051	64,2
02 05 03	კეთილმოწყობის ობიექტების მშენებლობა-რეაბილიტაცია	154,9	64,878	90,0	99,442	50,391	49,051	64,2
02 05 02	სასაფლაოების მოვლა, შემოღობვა	0,0	0,000	0,0	0,000	0,000	0,000	
02 08	სოფლის მხარდამჭერი პროგრამა	947,922	932,522	15,400	911,931	901,131	10,800	96,2
02 09	სოფლის მეურნეობის დაფინანსება	0,0	0,000	0,0	0,000	0,000	0,000	0,0

აქედან, 7 332,1 ათასი ლარი მიმართულია „საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაციაზე - პროგრამული კოდი 03 01“ ამ პროგრამის დაფინანსების შედეგად ხარაგაულის მუნიციპალიტეტში

გაიზარდა მოასფალტებული და გასწორხაზოვნებული შიდა გზების რაოდენობა, რეაბილიტირებული ხიდები და ხიდბოგირები, ასევე საზოგადოებრივი ტრანსპორტით მოსარგებლე მოსახლეობა და შეიქმნა უსაფრთხო და შეუფერხებელი გადაადგილების პირობები.

გზების კაპიტალურ შეკეთებაზე - პროგრამული კოდი 03 01 01 “ დაგეგმილი 8 122,4 ათასი ლარიდან ათვისებული იქნა 5 925,6 ათასი ლარი, მ. შ სახ. ფონდების 7 367,9 ათ. ლარიდან ვალდებულება აღებულია 6 203,6 ათ. ლარზე და გადარიცხულია 5 374,0 ათასი ლარი, ხოლო საკუთარი სახსრების 754,5 ათ. ლარიდან ვალდებულებები აღებულია 661,1 ათ. ლარზე და ფაქტიურად გადარიცხულია 551,5 ათასი ლარი.

მ. შ. 2020 წელს საქ. მთავრობის N 2630 განკარგულებით გამოყოფილი იყო 4 270,1 ათასი ლარიდან აღებულია ვალდებულება 4 221,9 ათას ლარზე და ათვისებული იქნა 4 058,9 ათ. ლარი, აქედან სოფ. ბაბის გზის პირველი ეტაპი - 50,0 ათ. ლარი, მ. შ. ჯარიმა ხელშეკრ. დარღვევისათვის 28,8 ათ. ლარი; სოფ. წყალაფ. ბადისა და გაბეხაძეების უბანი -76,0 ათ. ლარი; სოფ. ქვების გზის რეაბილიტაციის მეორე ეტაპი - 152,6 ათ. ლარი; სოფ. ღორემის კვადოურის უბნის გზა- 161,9 ათ. ლარი, მ. შ. პირგასამტეხლო 15,2 ათ. ლარი; სოფ. ბორითის გოჭოურის უბნის პირველი ეტაპი -131,1ათ. ლარი; სოფ. ჩხერის გზის პირველი ეტაპი - 378,5 ათ. ლარი; სოფ. უბისის ჭალის გზა და ნაპირსამაგრის მოწყობა პირველი ეტაპი - 277,7 ათ. ლარი; სოფ. მაქათუბნის ბოჟაძეების, გამცემლიძეების და გორგაძეების გზები - 307,2 ათ. ლარი, მ.შ. 3,8 ათ. ლარი პირგასამტეხლო; ვანი-სხლითის გზა -352,9 ათ. ლარი, მ.შ. 26,7 ათ. ლარი პირგასამტეხლო; ღვერკი-ხორითის გზა -282,3 ათ. ლარი; ჯაფაროულის გზა -239,9 ათ. ლარი;ბორითი-ღორემის გზა პირვ. ეტაპი (კვესრევ-ამაშუკეთის მონაკვეთი) -515,8 ათ. ლარი;ვანი-ღუღუმეძედის გზა -217,2 ათ. ლარი, მ.შ. 9,0 ათ. ლარი პირგასამტეხლო; სოფ. ფარცხნალის ბარის უბნის გზა- 88,6 ათ. ლარი, მ. შ. 8,8 ათ. ლარი პირგასამტეხლო; სოფ. დეისის მეორე უბნის გზა -71,2 ათ. ლარი; სოფ. ხიდრის ჯორტების უბნის გზა - 131,5 ათ. ლარი; სოფელ ზარნის გზა - 84,9 ათ. ლარი, მ. შ. 64,6 ათ. ლარი პირგასამტეხლო; სოფ. ვარძიის საუბნო გზა - 110,3 ათ. ლარი; სოფ. ბაზალეთის ჭიპაშვილების უბნის გზა -144,1 ათ.ლარი; ერეთა-დინარის დამაკავშირებელი გზა -95,0 ათ. ლარი; კიცხის ა/ერთეულში საქარიქედის (მუხების უბანი) ლაშის იგორეთის დამაკავშ. გზა - 190,0 ათ. ლარი;

ასევე 2020 წლის საქ. მთ. N 325 განკარგულების 176,1 ათასი ლარიც მთლიანად იქნა ათვისებული სოფელ ლედენის სკოლის გზის რეაბილიტაციაზე.

ხოლო წინა წლების სხვადასხვა განკარგულებების დარჩენილი 2 921,7 ათასი ლარის ნაშთიდან ვალდებულებები აღებულია 1805,1 ათას ლარზე და ფაქტიურად ათვისებული იქნა მხოლოდ 1 139,0 ათასი ლარი, ათვისებული ნაშთების დიდი ნაწილი უკვე მიმართულია 2021 წლის ბიუჯეტში.

საქ. მთავრობის N 136 განკარგულების 1 386,3 ათასი ლარის ნაშთიდან აღებულია ვალდებულება 865,9 ათას ლარზე და ათვისებული იქნა მხოლოდ 403,9 ათ. ლარი, აქედან სოფ. თეთრაწყაროს გზა -35,7 ათ. ლარი; სოფ. მარელისის კაპნარი-კელასაურის დამაკავშ. გზა - 8,1 ათ. ლარი; სოფ. ახალსოფლის გზა- 57,2 ათ. ლარი; სოფ. ვარძიის მესამე უბნის გზა -110,7 ათ. ლარი; სოფ. ხიდარში შარიქაძეების საუბნო გზა - 109,3 ათ. ლარი;ლაშის ა/ერთეულში სოფ. ხემაღალის გზა - 24,2 ათ. ლარი; ლაშის ა/ერთეულში სოფ. ხემაღალის გზის მეორე ეტაპი - 0,8 ათ. ლარი; ლაშის ა/ერთეულში მანჯავიძეების, ცისკაძეებისა და მაჭავარიანის საუბნო გზები - 26,5 ათასი ლარი; სოფ. ლაშის იგორეთის გზის მეორე ეტაპი - 5,7 ათ. ლარი; ვახანის გზა -16,3 ათ. ლარი; სერბაისის გზა -9,4 ათ. ლარი.

საქ. მთავრობის N 2577 განკარგულების 630,7 ათასი ლარიდან აღებულია ვალდებულება 358,9 ათას ლარზე და ათვისებული იქნა მხოლოდ 243,7 ათ. ლარი, მ.შ. სოფ. ბაბის გზის პირველი ეტაპი -4,4 ათ. ლარი; სოფ. თეთრაწყაროს გზის მეორე ეტაპი - 18,6 ათ. ლარი; სოფ. ხორითის ცენტრალური გზა პირველი

ეტაპი -76,0 ათ. ლარი; სოფ. ვერტყვიჭალის ბლიადეებისა და გოგიაშვილების საუბნო გზა -36,6 ათ. ლარი; ხიდარში ჯორტების საუბნო გზა - 30,4 ათ. ლარი; ფარცხნალში ბარის გზა - 25,7 ათ. ლარი; სოფ. დეისის მეორე უბნის გზა - 12,0 ათ. ლარი; სოფ. ზარნის გზა -6,6 ათ. ლარი; სოფ. ლუდუმეძედის გზის რეაბილიტაცია -33,4 ათ. ლარი.

საქ. მთავრობის N 1733 განკარგულებით 5,1 ათასი ლარზე სრულად არის ვალდებულება აღებული და გადარიცხული.

საქ. მთავრობის N 1401 განკარგულების 95,2 ათასი ლარიდან აღებულია ვალდებულება 68,2 ათასი ლარზე 2020 წელში ფაქტიური ხარჯვა არ მომხდარა, ამ განკარგულებით

საქ. მთავრობის N 1635 განკარგულების 44,2 ათასი ლარიდან აღებულია ვალდებულება 39,8 ათას ლარზე და ათვისებული იქნა 30,7 ათ. ლარი;

საქ. მთავრობის N 2279 განკარგულების 95,4 ათასი ლარზე მთლიანად აღებულია ვალდებულება და სრულად იქნა ათვისებული;

საქ. მთავრობის N 2712 განკარგულების 63,4 ათასი ლარიდან აღებულია ვალდებულება 62,9 ათას ლარზე და ათვისებული იქნა 50,7 ათ. ლარი;

საქ. მთავრობის N 955 განკარგულების 95,4 ათასი ლარზე მთლიანად აღებულია ვალდებულება და სრულად იქნა ათვისებული;

საქ. მთავრობის N 175 განკარგულების 1,7 ათასი ლარზე აღებულია 0,9 ათ. ლარის ვალდებულება და სრულად იქნა ათვისებული;

საქ. მთავრობის N 39 განკარგულების 22,5 ათასი ლარის ნაშთი 2020 წლის ბიუჯეტში დარჩა თავისუფალი.

საქ. მთავრობის N 1679 განკარგულების 9,9 ათასი ლარის ნაშთი 2020 წლის ბიუჯეტში დარჩა თავისუფალი.

საქ. მთავრობის N 34 განკარგულების ნაშთიც 20,1 ათასი ლარი არის თავისუფალი, ვინაიდან შესაბამის პერიოდში საგარანტიოდ აღებული ვალდებულებით აღნიშნული თანხები უკვე უნდა იყოს დაბრუნებული, ვინაიდან აღნიშნული თანხები მეწარმე სუბიექტების მიერ თავის დროზე მოთხოვნილი არ ყოფილა შესაბამისად არც დაბრუნება არ მომხდარა და ასევე ირიცხება მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში თავისუფალი ნაშთის სახით.

აღსანიშნავია, რომ წინა 2019 წელთან შედარებით 2020 წელს შემცირებულია გზების კაპ. მშენებლობაზე ფაქტიურად გაწეული ხარჯები 960,5 ათ. ლარით. 2019 წელს აღნიშნულ პროგრამაზე 6 390,4 ათასი ლარი იყო დახარჯული.

გზების მიმდინარე შეკეთებაზე - პროგრამული კოდი 03 01 02 “ დაგეგმილი 160,8 ათ. ლარიდან დახარჯულია 125,4 ათასი ლარი, მ.შ. სახ. ფონდების სახსრების 104,0 ათასი ლარიდან ვალდებულებები აღებულია 90,7 ათ. ლარზე და გადარიცხულია 70,7 ათ. ლარი; საკ.სახსრებიდან 56,8 ათასი ლარიდან გადარიცხულია 54,7 ათასი ლარი.

მ. შ. საქ. მთავრობის N 1332 განკარგულების 97,7 ათასი ლარიდან აღებულია ვალდებულება 87,6 ათას ლარზე და გადარიცხულია 67,6 ათ. ლარი;

საქ. მთავრობის N 2712 განკარგულების 3,7 ათასი ლარიდან აღებულია ვალდებულება 1,5 ათას ლარზე და გადარიცხულია სრულად.

საქ. მთავრობის N 1679 განკარგულების 0,940 ათასი ლარიდან აღებულია ვალდებულება 0,937 ათას ლარზე და გადარიცხულია სრულად.

ხიდების რეაბილიტაციაზე - პროგრამული კოდი 03 01 03 “ გათვალისწინებული 1430,1 ათასი ლარიდან ათვისებული იქნა 1270,3 ათასი ლარი, აქედან, სახელმწიფო ფონდების სახსრებით გათვალისწინებული იყო 1 168,9 ათასი ლარი, ვალდებულება აღებული იქნა 1112,3 ათას ლარზე - ფაქტიურად შესრულებული იქნა 1046,9 ათასი ლარის სამუშაოები, ხოლო საკუთარი სახსრებიდან გათვალისწინებული 261,2 ათასი ლარიდან აღებული იქნა 239,2 ათასი ლარის ვალდებულება და გადარიცხულია 223,3 ათასი ლარი.

მ. შ. საქ. მთავრობის N 557 განკარგულებით გათვალისწინებული 23,7 ათასი ლარიდან აღებულია ვალდებულება 15,9 ათას ლარზე და სრულად არის გადარიცხული.

საქ. მთავრობის N 2279 განკარგულებით 119,6 ათასი ლარზე მთლიანად არის ვალდებულება აღებული და გადარიცხულია 105,4 ათ. ლარი.

საქ. მთავრობის N 325 განკარგულებით 773,9 ათასი ლარიდან აღებულია ვალდებულება 726,9 ათ. ლარზე და გადარიცხულია 720,8 ათ. ლარი სტიქიების შედეგად დაზიანებული ხიდების აღდგენაზე , აქედან სოფ. ლედენის სკოლისაკენ მიმავალი ხიდი -144,9 ათ. ლარი, სოფ. ლაშის ხიდი- 542,0 ათასი ლარი, სოფ. ღორეშის ხიდი - 33,9 ათ. ლარი.

საქ. მთავრობის N 2712 განკარგულებით 167,2 ათასი ლარზე ვალდებულება სრულად არის აღებული და ფაქტიურად გადარიცხულია 135,9 ათასი ლარი;

საქ. მთავრობის N 1533 განკარგულებით 0,250 ათ. ლარიდან ვალდებულება 0, 238 ათ. ლარზე აღებული და სრულად არის გადარიცხული.

საქ. მთავრობის N 1679 განკარგულებით 84,3 ათასი ლარიდან ვალდებულება აღებულია 82,4 ათას ლარზე და ფაქტიურად გადარიცხულია 68,7 ათასი ლარი;

საზოგადოებრივი ტრანსპორტით მომსახურებაზე- პროგრამული კოდი 03 01 04 “ მუნიციპალიტეტმა დაგეგმილი 32,0 ათასი ლარიდან დახარჯა 10,9 ათასი ლარი მხოლოდ ერთი მიმართულებით.

წყლის სისტემის რეაბილიტაცია ექსპლუატაციაზე -პროგრამული კოდი 02 01 01 “ გეგმით გათვალისწინებული 127,0 ათასი ლარიდან ვალდებულება აღებულია 86,5 ათას ლარზე და ფაქტიურად გადარიცხულია 50,7 ათ. ლარი, აქედან სახ. ფონდების ხარჯზე 16,4 ათასი ლარი და საკ. სახსრებიდან 34,3 ათასი ლარი.

საქ. მთავრობის N 1332 განკარგულებით 12,7 ათ. ლარზე სრულად არის ვალდებულება აღებული და გადარიცხულია 7,0 ათ. ლარი.

საქ. მთავრობის N 1679 განკარგულებით 84,3 ათასი ლარიდან ვალდებულება აღებულია 82,4 ათას ლარზე და ფაქტიურად გადარიცხულია 68,7 ათასი ლარი;

სანიღვრე და საკანალიზაციო არხების მოწყობა-გაწმენდაზე -პროგრამული კოდი 02 01 02 “ საქ. მთავრობის N 557 განკარგულებით 29,7 ათასი ლარიდან ვალდებულება აღებულია 29,3 ათასი ლარზე და გადარიცხული 29,0 ათ. ლარი. ხოლო საქ. მთავრობის N 39 განკარგულების 0. 970 ათ. ლარზე ვალდებულება არ ყოფილა.

გარე განათების ქსელის ექსპლუატაციაზე - პროგრამული კოდი 02 03 01 “ დაგეგმილი 169,0 ათასი ლარიდან ა(ა)იპ დასუფთავებისა და კეთილმოწყობის გაერთიანების მიერ დახარჯულია 166,6 ათ. ლარი, აქედან ელექტროენერჯის საფასურის დასაფარავად 69,0 ათ. ლარი.

მრავალბინიანი სახლების რეაბილიტაციაზე პროგრამული კოდი 02 04 “ დაგეგმილი 155,0 ათასი ლარიდან აღებულია ვალდებულება მხოლოდ 24,8 ათას ლარზე და გადარიცხულია სრულად. აქედან საქ. მთავრობის N 452 განკარგულებით გამოყოფილი 63,0 ათასი ლარი დავალდებულებული არ არის, ხოლო საკუთარი სახსრებით გათვალისწინებული 92,0 ათასი ლარიდან როგორც ზევით იქნა აღნიშნული მხოლოდ 24,8 ათ. ლარი არის ათვისებული.

„კეთილმოწყობაზე პროგრამული კოდი - 02 05“ დაგეგმილი 154,9 ათასი ლარიდან აღებულია 102,8 ათასი ლარის ვალდებულება და გადარიცხულია 99,4 ათასი ლარი, მ. შ. საქ. მთავრობის N 136 განკარგულების 53,7 ათასი ლარის ვალდებულება მთლიანად არის აღებული და ფაქტიურად გადარიცხულია 50,4 ათასი ლარი. საქ. მთავრობის N 39 განკ. 11,2 ათასი ლარი ირიცხება ნაშთში საგარანტიო თანხების გასაცემად, ხოლო საკუთარი სახსრების გეგმით გათვალისწინებული 90,0 ათასი ლარიდან ვალდებულება აღებულია 49,2 ათას ლარზე და სრულად არის გადარიცხული.

აღნიშნული პროგრამის სრულად განხორციელების მიუხედავად გაუმჯობესდა დაბის იერსახე, დამონტაჟდა საბავშვო გასართობი ატრაქციონები.

სოფლის მხარდამჭერი პროგრამით - პროგრამული კოდი 02 08 დაგეგმილი 947,9 ათასი ლარიდან, ვალდებულება აღებულია 942,1 ათას ლარზე და ფაქტიურად 991,9 ათასი ლარი იქნა დახარჯული. აქედან საქ. მთავრობის N 2752 განკარგულებით გამოყოფილი 890,0 ათასი ლარიდან აღებულია 885,2 ათას ლარის ვალდებულება და ათვისებულია 861,9 ათასი ლარი;

საქ. მთავრობის N 452 განკარგულების 42,5 ათასი ლარიდან აღებულია 41,8 ათ. ლარის ვალდებულება და დახარჯულია 39,2 ათ. ლარი, ხოლო საკუთარი სახსრების 15,4 ათ. ლარიდან ათვისებულია 10,8 ათ. ლარი;

აღნიშნული პროგრამა წინა წლებთან შედარებით უკეთ იქნა ათვისებული, რომლის შედეგადაც შედარებით გაუმჯობესდა მუნიციპალიტეტის სოფლებში მცხოვრები მოსახლეობის მოთხოვნების დაკმაყოფილება და მათი საყოფაცხოვრებო გარემო.

დასუფთავება და ნარჩენების გატანა - პროგრამული კოდი 03 00 მუნიციპალიტეტმა 2020 წელს დაგეგმილი 974,3 ათ. ლარიდან დახარჯა 947,9 ათასი ლარი და დაფინანსებულია 97,3 %-ით. აქედან უშუალოს ნარჩენების გატანაზე დახარჯულია 784,9 ათ. ლარი, მწვანე ნარგავების მოვლაზე 158,1 ათასი ლარი და უპატრონო ცხოველების მოვლაზე 4,9 ათასი ლარი.

ცხრ. N 6

ორბ. კოდი	ხარაგაულის მუნიციპალიტეტი	2020 წლის გეგმა			2020 წლის შესრულება			წლიური გეგმის შესრულების პროცენტი
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის		
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები	
03 00	დასუფთავება და გარემოს დაცვა	974,3	0,000	974,3	947,9	0,000	947,9	97,3

03 01	დასუფთავება და ნარჩენების გატანა	808,400	0,000	808,4	784,962	0,000	784,962	97,1
03 02	მწვანე ნარგავების მოვლა-პატრონობა	160,4	0,000	160,4	158,070	0,000	158,070	98,5
03 03	უპატრონო ცხოველების მოვლითი ღონისძიებები	5,5	0,000	5,5	4,900	0,000	4,900	89,1

განათლებაზე პროგრამული კოდი - 04 00 2020 წელს მუნიციპალიტეტმა გათვალისწინებული 2 867,2 ათასი ლარიდან დახარჯა 2 631,9 ათასი ლარი, წინა 2019 წელთან შედარებით 343.2 ათ. ლარით მეტი. 2019 წელს განათლებაზე 2 288.7 ათასი ლარი იყო გაწეული, აღნიშნული პროგრამის შედეგია მუნიციპალიტეტში მცხოვრები სასკოლო ასაკისა და სკოლის ასაკის ბავშვთა განათლებაზე ხელმისაწვდომობის გაზრდა, საბავშვო ბაღის აღსაზრდელთათვის დადგენილი სტანდარტებით კვებაზე და განათლებაზე ხელმისაწვდომობა. სკოლის მოსწავლეთათვის ტრანსპორტით უზრუნველყოფა, მოწესრიგებული სასკოლო ინფრასტრუქტურა. ცხრ. N 7

ცხრ. N 7

ორგ. კოდი	ხარაგაულის მუნიციპალიტეტი	2020 წლის გეგმა			2020 წლის შესრულება			წლიური გეგმის შესრულების პროცენტი
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის		
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები	
04 00	განათლება	2 867,2	1 341,3	1 525,9	2 631,9	1 165,2	1 466,6	91,8
04 01	სკოლამდელი დაწესებულებების ფუნქციონირება	1 324,0	0,000	1 324,0	1 268,1	0,000	1 268,1	95,8
04 02	სკოლამდელი დაწესებულებების რეაბილიტაცია, მშენებლობა	50,328	45,328	5,0	32,971	28,640	4,331	65,5
04 03	მოსწავლეთა ტრანსპორტირების მომსახურების პროგრამა	446,6	446,643	0,0	404,468	404,468	0,000	90,6
04 04	სკოლების რეაბილიტაცია	856,196	849,346	6,9	736,351	732,127	4,224	86,0
04 05	ზოგადი განათლების ხელშეწყობა (ინტერნატი)	80,0		80,0	80,000		80,000	100,0
04 06	სკოლისგარეშე განათლების პროგრამა (მოსწავლე ახალგაზრდობის სახლი)	110,0	0,000	110,0	109,987	0,000	109,987	100,0

2020 წელს განათლებაზე ხარჯების ზრდა გამოწვეულია საქ. მთავრობის განკარგულებებით სკოლების რეაბილიტაციაზე გაწეული სახსრების გაზრდით, ასევე სკოლამდელი დაწესებულებების სუბსიდირების 78,3 ათასი ლარით გაზრდით წინა წელთან შედარებით. თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს რომ 2020 წელს

პანდემიის გამო გამოწვეული შეზღუდვებით შემცირებულია საჯარო სკოლების მოსწავლეთა ტრანსპორტირების თანხა 131,5 ათ. ლარით.

სკოლამდელი განათლების ხელშეწყობის ქვეპროგრამით მუნიციპალიტეტში სკოლამდელი დაწესებულებების გაერთიანებამ 2020 წელში გასწია 1268,1 ათასი ლარის ხარჯი, მ. შ. არაფინანსური აქტივების ზრდაზე 58,1 ათ. ლარი, ამასთან მუნიციპალიტეტმა ბაღების რეაბილიტაციაზე დახარჯა 32,9 ათ. ლარი;

მუნიციპალიტეტმა სსიპ ბორის საჯარო სკოლის სუბსიდირებაზე დახარჯა 80,0 ათასი ლარი, სკოლების რეაბილიტაციაზე საქ. მთავრობის განკარგულებებით გამოყოფილი 856,2 ათასი ლარიდან ათვისებულია 736,4 ათასი ლარი, მ. შ. საქ. მთავრობის N 13 განკარგულების დარჩენილი 66,0 ათ. ლარის ნაშთიდან 52,3 ათასი ლარი და 2020 წლის N 27 განკარგულებით გამოყოფილი 820,6 ათ. ლარიდან 679,8 ათასი ლარი, ცხრ. N 8; საკუთარი სახსრებით სახედამხედველო სამუშაოების შესასრულებლად 4,2 ათასი ლარი.

საჯარო სკოლის მოსწავლეთა ტრანსპორტირებაზე ასევე საქ. მთავრობის N 13 და 27 განკარგულებებით 446,6 ათასი ლარიდან ათვისებულია 404,5 ათასი ლარი.

მოსწავლე ახალგაზრდობის სახლის სუბსიდირებაზე დახარჯულია 110. 0 ათასი ლარი. ცხრ. N8

სკოლების რეაბილიტაცია საქ. მთ. 2020 წლის N 27 განკარგულებით	გეგმა	ფაქტი
სოფ. ბორითის საჯარო სკოლაში სსპ პირებისათვის სველი წერტილის რეაბილიტაციის სამუშაოების შესყიდვა	89,800	89,004
სოფ. ვაშლევის საჯარო სკოლაში სველი წერტილების რეაბილიტაციის სამუშაოების შესყიდვა	33,400	33,158
სოფ. წიფის საჯარო სკოლაში სველი წერტილის რეაბილიტაციის სამუშაოების შესყიდვა	33,382	29,681
სოფ. ლაშის საჯარო სკოლაში სველი წერტილის რეაბილიტაციის სამუშაოების შესყიდვა	47,756	44,780
სოფ. ვახანის საჯარო სკოლის საპირფარეოს რეაბილიტაციის სამუშაოების შესყიდვა	53,154	48,728
სოფ. ვარძიის საჯარო სკოლის სველი წერტილის რეაბილიტაციის სამუშაოების შესყიდვა	52,540	51,245
სოფ. ბაზალეთის საჯარო სკოლის საპირფარეოს და განათების ქსელის რეაბილიტაციის სამუშაოების შესყიდვა	55,897	15,339
სოფ. ბორის საჯარო სკოლის საპირფარეოს რეაბილიტაციის სამუშაოების შესყიდვა	43,122	40,731
სოფ. დაბის N 2 საჯარო სკოლის საპირფარეოს რეაბილიტაციის სამუშაოების შესყიდვა	100,386	98,081
სოფ. ჩრდილის საჯარო სკოლის საპირფარეოს რეაბილიტაციის სამუშაოების შესყიდვა	21,626	20,553
სოფ. ხუნევის საჯარო სკოლის საპირფარეოს რეაბილიტაციის სამუშაოების შესყიდვა	57,923	54,894
სოფ. სარგვეშის საჯარო სკოლის საპირფარეოს რეაბილიტაციის სამუშაოების შესყიდვა	28,934	28,048

სკოლების რეაბილიტაცია საქ. მთ. 2020 წლის N 27 განკარგულებით	გეგმა	ფაქტი
სოფ. ხევის საჯარო სკოლის საპირფარეშოს რეაბილიტაციის სამუშაოების შესყიდვა	69,342	59,151
სოფ. წივის საჯარო სკოლის საპირფარეშოს რეაბილიტაციის სამუშაოების შესყიდვა	20,542	19,943
სოფ. ნებოდირის საჯარო სკოლის საპირფარეშოს რეაბილიტაციის სამუშაოების შესყიდვა	49,807	46,447
სოფ. მარელისის საჯარო სკოლის მე-2 კორპუსის სველი წერტილის რეაბილიტაციის სამუშაოების შესყიდვა	62,960	
სულ	828,2	679,8

კულტურა, რელიგია, სპორტულ და ახალგაზრდულ ღონისძიებებზე - პროგრამული კოდი 05 00

დაგეგმილი 1 4581,5 ათასი ლარიდან დახარჯულია 1463,2 ათასი ლარი, ცხრ. N9 გასულ წელთან შედარებით 115,6 ათასი ლარით მეტი. 2019 წელს დახარჯული იყო 1 347,6 ათასი ლარი.

ამ პროგრამის განხორციელების შედეგად მუნიციპალიტეტის ახალგაზრდობამ მონაწილეობს სხვადასხვა კულტურულ და სპორტულ აქტივობებში. ტარდება სხვადასხვა სპორტული ღონისძიებები, მათ შორის ჩემპიონატები და ტურნირები სპორტის სხვადასხვა სახეობებში, სასკოლო სპორტული ოლიმპიადი.

იზრდება ქორეოგრაფიულ, მუსიკალურ, ფოლკლორულ და საესტრადო წრეებზე ჩართული ბავშვებისა და მოზარდების რაოდენობა, თუმცა პანდემიით გამოწვეულმა შეზღუდვების გამო 2020 წელს აღნიშნული აქტივობების სრულყოფილად ჩატარება ვერ მოხერხდა.

ცხრ. N 9

ორგ. კოდი	ხარაგაულის მუნიციპალიტეტი	2020 წლის გეგმა			2020 წლის შესრულება			წლიური გეგმის შესრულების პროცენტი
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის		
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები	
05 00	კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი	1 481,5	248,8	1 232,7	1 463,2	246,4	1 216,8	98,8
05 01	სპორტის სფეროს განვითარება	586,967	246,455	340,512	585,025	246,454	338,571	99,7
05 01 01	სპორტული ღონისძიებები	5,000	0,000	5,000	3,059	0,000	3,059	61,2
05 01 02	სპორტისა და შიდა ტურიზმის ხელშეწყობა	335,512	0,000	335,512	335,512	0,000	335,512	100,0
05 01 04	სპორტული ობიექტების რეაბილიტაცია, მშენებლობა აღჭურვა	246,455	246,455	0,000	246,454	246,454	0,000	100,0
05 02	კულტურის სფეროს განვითარება	779,505	2,305	777,2	765,888	0,000	765,888	98,3
05 02 01	კულტურის სფეროს დაწესებულებების ხელშეწყობა	773,2	0,000	773,2	764,888	0,000	764,888	98,9
05 02 01 01	სახელოვნებო განათლების ხელშეწყობა	122,0	0,000	122,0	118,859	0,000	118,859	97,4
05 02 01 02	კულტურისა და ხელოვნების ხელშეწყობა	630,500	0,000	630,5	625,329	0,000	625,329	99,2
05 02 01 03	ფოლკლორის ხელშეწყობის პროგრამა	20,7	0,000	20,7	20,700	0,000	20,700	100,0

ორგ. კოდი	ხარაგაულის მუნიციპალიტეტი	2020 წლის გეგმა			2020 წლის შესრულება			წლიური გეგმის შესრულების პროცენტი
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის		
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები	
05 02 02	კულტურის ღონისძიებების დაფინანსება	4,0	0,000	4,0	1,000	0,000	1,000	25,0
05 03	მოქალაქეთა ჩართულობისა და ინფორმირების ხელშეწყობის პროგრამა	50,0	0,000	50,0	49,998	0,000	49,998	100,0
05 02 03	კულტურის ობიექტების აღჭურვა, რეაბილიტაცია, მშენებლობა	2,305	2,305	0,0	0,000	0,000	0,000	0,0
05 04	რელიგიური ორგანიზაციების ხელშეწყობა	50,0	0,000	50,0	50,000	0,000	50,000	100,0
05 05	ახალგაზრდობის მხარდაჭერა	15,0	0,000	15,0	12,336	0,000	12,336	82,2

სპორტის განვითარებაზე 2020 წელს დაგეგმილი 586,9 ათასი ლარიდან დახარჯულია 585,0 ათასი ლარი, აქედან 3,1 ათასი ლარი სპორტულ ღონისძიებებზე და 335,5 ათასი ლარი სპორტისა და შიდა ტურიზმის ცენტრის დაფინანსებაზე.

კულტურის სფეროს განვითარებაზე 779,5 ათასი ლარიდან ათვისებულია 765,9 ათასი ლარი, საიდანაც სამუსიკო სკოლის სუბსიდირებაზე მიმართულია 118,9 ათასი ლარი, კულტურისა და ხელოვნების ცენტრის სუბსიდირებაზე 625,3 ათასი ლარი. ფოლკლორის ხელშეწყობის პროგრამაზე 20,7 ათასი ლარი გრანტის სახით.

მოქალაქეთა ჩართულობისა და ინფორმირების ცენტრს გადაეცა 50,0 ათასი ლარის სუბსიდია.

ახალგაზრდული პროგრამების დაფინანსებაზე გათვალისწინებული 15,0 ათასი ლარიდან ათვისებულია 12,3 ათასი ლარი. რელიგიის დაფინანსებას 2020 წელს მოხმარდა 50,0 ათასი ლარი, რომელიც გადაერიცხა მარგვეთის ეპარქიას მასთან გაფორმებული ხელშეკრულების მიხედვით და მოხმარდა დაბის საკათედრო ტაძრის მოსაწყობ სამუშაოებს.

„მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფაზე - პროგრამული კოდი 06 00 “ მუნიციპალიტეტში ამ მიმართულებით 2020 წელში მოქმედებდა 21 ქვეპროგრამა. მათ შორის ორი ქვეპროგრამა მოიცავს ჯანმრთელობის დაცვას, ხოლო 19 – სოციალურ უზრუნველყოფას. 2020 წელს დაგეგმილი 1 174,0 ათასი ლარიდან 1 140,6 ათასი ლარი მოხმარდა. ცხრ. N10 გასულ წელთან შედარებით 155,8 ათასი ლარით მეტი, 2019 წელს ამ პროგრამაზე 985,6 ათასი ლარი დაიხარჯა. აღნიშნული პროგრამის განხორციელების შედეგია მუნიციპალიტეტში მცხოვრები ოჯახების ფინანსური მხარდაჭერა, თანადგომა, ჯანმრთელობაზე ზრუნვა და ხელშეწყობა მძიმე სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შესამსუბუქებლად.

ცხრ. N 10

ორგ. კოდი	ხარაგაულის მუნიციპალიტეტი	2020 წლის გეგმა			2020 წლის შესრულება			წლიური გეგმის შესრულების პროცენტი
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის		
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები	
06 00	ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	1 174,1	75,3	1 098,8	1 140,6	72,9	1 067,7	97,2
06 01	საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვა და	135,0	73,000	62,0	133,703	72,399	61,304	99,0

ორბ. კოდი	ხარაგაულის მუნიციპალიტეტი	2020 წლის გეგმა			2020 წლის შესრულება			წლიური გეგმის შესრულების პროცენტი
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის		
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები	
	უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფა							
06 02	ჯანმრთელობის დაცვის ობიექტების რეაბილიტაცია, მშენებლობა აღჭურვა	13,664	1,264	12,4	3,097	0,000	3,097	22,7
06 03	სოციალური დაცვა	1 025,4	1,000	1 024,4	1 003,8	0,500	1 003,3	97,9
06 03 01	სამკურნალო და საოპერაციო ხარჯები და ხმარების პროგრამა	393,447	0,000	393,447	391,733	0,000	391,733	99,6
06 03 02	კოხლარული იმპლანტით მოსარგებლე პირთა დახმარება	5,0	0,000	5,0	4,613	0,000	4,613	92,3
06 03 03	შშმ პირთა დახმარების პროგრამა	33,8	0,000	33,835	31,864	0,000	31,864	94,2
06 03 04	ერთჯერადი ფინანსური დახმარება	165,0	0,000	165,0	155,796	0,000	155,796	94,4
06 03 05	ლეიკემიით დაავადებულთა და დიალიზზე მყოფი პირების დახმარება	26,8	0,000	26,8	26,800	0,000	26,800	100,0
06 03 06	მრავალშვილიანი ოჯახების დახმარების ქვეპროგრამა	13,0	0,000	13,0	11,700	0,000	11,700	90,0
06 03 07	მარტოხელა მშობლების დახმარების პროგრამა	2,0	0,000	2,0	1,200	0,000	1,200	60,0
06 03 08	მარჩენალდაკარგულთა დახმარების ქვეპროგრამა	6,0	0,000	6,0	5,400	0,000	5,400	90,0
06 03 09	ყოველთვიური დახმარების პროგრამა	36,5	0,000	36,5	36,420	0,000	36,420	99,8
06 03 10	საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის ომში დაღუპულთა დახმარების პროგრამა	8,0	0,000	8,0	8,000	0,000	8,000	100,0
06 03 11	ხანდაზმულთა დახმარების პროგრამა	1,5	0,000	1,5	1,500	0,000	1,500	100,0
06 03 12	სადღესასწაულო დღეების დახმარება	10,0	0,000	10,0	9,017	0,000	9,017	90,2
06 03 13	სოციალურად დაუცველ და უპატრონო მიცვალებულთა სარიტუალო მომსახურების პროგრამა	8,6	0,000	8,6	7,500	0,000	7,500	87,2
06 03 14	უკიდურესად გაჭირვებული ოჯახების სათბობი მასალით დახმარების პროგრამა	1,0	0,000	1,0	0,000	0,000	0,000	0,0
06 03 15	ახალშობილთა ოჯახების დახმარების ქვეპროგრამა	23,0	0,000	23,0	22,950	0,000	22,950	99,8
06 03 16	გარდაცვლილი დევნილის ან ვეტერანის დაკრძალვა	1,0	1,000	0,0	0,500	0,500	0,000	50,0
06 03 17	სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული და მძიმე საცხოვრებელი პირობების მქონე	166,7	0,000	166,7	165,931	0,000	165,931	99,5

ორბ. კოდი	ხარაგაულის მუნიციპალიტეტი	2020 წლის გეგმა			2020 წლის შესრულება			წლიური გეგმის შესრულების პროცენტი
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის		
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები	
	ოჯახების დახმარება							
06 03 18	უფასო სასადილო	114,0	0,000	114,0	113,747	0,000	113,747	99,8
06 03 19	სოციალური დაცვის ობიექტების რეაბილიტაცია და ინვენტარით უზრუნველყოფა	10,0	0,000	10,0	9,134	0,000	9,134	91,3

საზ. ჯანდაცვის სუბსიდირებაზე დაიხარჯა 133,7 ათასი ლარი. მუნიციპალიტეტში არსებული ამბულატორიებს ინტერნეტით უზრუნველსაყოფად 2,7 ათასი ლარი მოხმარდა.

სოციალურ პროგრამებზე მუნიციპალიტეტმა დაგეგმილი 1 025,4 ათასი ლარიდან 1 003,8 ათასი ლარი აითვისა.

მერიის მიერ განხორციელებული პროგრამებია:

06 03 01 სამკურნალო და საოპერაციო ხარჯებით დახმარების პროგრამა, რომელიც მოიცავს კვლევების, ოპერაციების, სამედიცინო მომსახურების და ზოგიერთი ქრონიკული დაავადების მედიკამენტების დაფინანსებას. მიმდინარე წელს ქვეპროგრამა განისაზღვრა 307,0 ათასი ლარით. დაზუსტებული წლიური გეგმა შეადგენს 393,5 ათასს. ანგარიშსწორება მოხდა 391,7 ათ. ლარზე და ისარგებლა 774 ბენეფიციარმა. 2019 წელს ქვეპროგრამით დაიხარჯა 362,0 ათ. ლარი

06 03 02 კოხლეარული იმპლანტით მოსარგებლე პირთა დახმარება, რომელიც მოიცავს 0-დან 18 წლამდე ასაკის იმპლანტით მოსარგებლეთა ელემენტით უზრუნველყოფას. გეგმა დაზუსტების შედეგად განისაზღვრა 5.0 ათ. ლარით. ქვეპროგრამით ისარგებლა 4 ბენეფიციარმა და დახარჯულია 4,6 ათ. ლარი.

06 03 03 შშმ პირთა დახმარება, რომელიც მოიცავს 0-18 წლამდე ასაკის შშმ პირთა სამკურნალო-სარეაბილიტაციო კურსის და მედიკამენტების დაფინანსებას, ასევე, შშმ პირის, რომელიც საჭიროებს მომვლელს, ყოველთვიურ დახმარებას. ქვეპროგრამის წლიური გეგმა განისაზღვრა 33,8 ათ. ლარით. წლის განმავლობაში დახარჯულია 31,9 ათასი ლარი და ისარგებლა 63 ბენეფიციარმა.

06 03 04 ერთჯერადი ფინანსური დახმარება, ქვეპროგრამის ბიუჯეტი განისაზღვრა 60.0 ათასი ლარით. დაზუსტებული წლიური გეგმა 165.0 ათ. ლარი. წლის განმავლობაში დახარჯულია 155.8 ათასი ლარი. როგორც მოგეხსენებათ, ქვეყანაში დაწესებული შეზღუდვების ფონზე განუწყვეტლივ მიმდინარეობდა სხვადასხვა სახის დახმარების გაცემა მოქალაქეებზე, ქვეპროგრამით სხვადასხვა ეტაპზე სურსათით დახმარება გაეწია 1700-მდე ოჯახს.

06 03 05 ლეიკემიით დაავადებულთა და დიალიზზე მყოფი პირების დახმარება წლის დასაწყისში განიზღვრა 23.0 ათ. ლარით, თუმცა, პანდემიის პირობებში დიალიზზე მყოფი მოქალაქეებისთვის მომსახურების შეუფერხებლად მიღების მიზნით დამატებით გამოიყო 3.8 ათ. ლარი. ჩვეულებრივ, დიალიზის სახელმწიფო პროგრამის მოსარგებლე ბენეფიციარს ტრანსპორტისთვის თვეში ერიცხებოდა 100 ლარი, პანდემიის პერიოდში (3 თვის განმავლობაში) ბენეფიციარის თანხა გაიზარდა 200 ლარამდე, ხოლო ივლისის თვიდან თანხა განისაზღვრა 150 ლარით. ლეიკემიით დაავადებულთა დახმარება წლიურად განსაზღვრულია 600 ლარით. მოსარგებლეა 3 ბენეფიციარი, ხოლო დიალიზის პროგრამაში ჩართული იყო 15 მოქალაქე. ამ მიმართულებით დახარჯულია 26,8 ათ. ლარი.

06 03 06 მრავალშვილიანი ოჯახების დახმარება, რომლის მოსარგებლეთა 4 და მეტი შვილიანი ოჯახი. დახმარება შეადგენს თითოეულ ბავშვზე 50 ლარს. ქვეპროგრამით ისარგებლა 53 ოჯახმა, დახარჯულია 11,7 ათ. ლარი.

06 03 07 მარტოხელა მშობლების დახმარება. ბიუჯეტი განისაზღვრა 3.0 ათ. ლარით, დახარჯულია 1.2 ათ. ლარი, ისარგებლა 6 ბენეფიციარმა.

06 03 08 მარჩენალდაკარგულთა დახმარება. დახმარების მიმღებია 21 წლამდე ასაკის დედით ან მამით ობოლი ბავშვი. ქვეპროგრამით ისარგებლა 28 ბენეფიციარმა და დახარჯულია 5,4 ათ. ლარი.

06 03 09 ყოველთვიური დახმარების პროგრამის ბენეფიციარები არიან სამამულო ომის ვეტერანები, უსინათლოები და დევნილები. პროგრამის ბიუჯეტი დაზუსტების შედეგად შეადგენს 36,5 ათ. ლარს. დახარჯულია 36,5 ათ. ლარი და სარგებლობს 100 მოქალაქე.

06 03 10 საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ომში დაღუპულთა ოჯახების დახმარება. დახმარების მიმღებია საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის ომში დაღუპულის ოჯახის წევრი, რომელსაც პირველი რიგის მემკვიდრე არ ყავს და რომელზეც არ ვრცელდება „ომისა და სამხედრო ძალების შესახებ“ კანონის მე-16 მუხლის კრიტერიუმები. დახმარება განისაზღვრება 2000 ლარით და სარგებლობს 4 ბენეფიციარი.

06 03 11 ხანდაზმულთა დახმარება. დახმარების მიმღებია 100 წელს გადაცილებული მოქალაქე. მუნიციპალიტეტში გვყავს 3 ბენეფიციარი. დახმარება განისაზღვრება 500 ლარით. შესაბამისად, დახარჯულია 1,5 ათ. ლარი.

06 03 12 სადღესასწაულო დღეების დახმარება, რომელიც მოიცავს სადღესასწაულო დღეებში მოწყვლადი ჯგუფების დახმარებას, განისაზღვრა 10,0 ათ. ლარით. დაიხარჯა 9,0 ათ. ლარი. დახმარება გაიწია ალილოს დღესასწაულთან დაკავშირებით პროდუქტის სახით 250 ოჯახზე, ასევე, დახმარება გაიწია ფულადი ფორმით სხვა მოწყვლად ჯგუფზე შესაბამისი დღეების აღსანიშნავად.

06 03 13 სოციალურად დაუცველი ან უპატრონო გარდაცვლილის ოჯახის დახმარება; დახმარება გაიწევა 57000 ქულამდე სოც. დაუცველი ან უპატრონო მიცვალებულის ოჯახს. ამ მიმართულებით დახარჯულია 7,5 ათ. ლარი და ისარგებლა 35 ოჯახმა. მათ შორის, 600 ლარი მიმართულია სარეზერვო ფონდიდან კორონავირუსით გარდაცვლილი მოქალაქის დასაკრძალად, ხოლო 300 ლარი – უპატრონო მიცვალებულისთვის ჩასასვენებლის შესაძენად.

06 03 15 ახალშობილთა ოჯახების დახმარება. პირველი ბავშვის შეძენისას ოჯახისათვის გაწეული დახმარება შეადგენს 100 ლარს, მეორე ბავშვის შეძენის შემთხვევაში_150 ლარს, მესამე_200 ლარს, მეოთხე_250 ლარს, მეხუთე_300 ლარს და ყოველი მომდევნო ბავშვის შეძენისას თანხა იზრდება 50 ლარით. ტყუპების შეძენის შემთხვევაში თანხა განისაზღვრება 500 ლარით. სამი და მეტი ტყუპის შეძენის შემთხვევაში დახმარება განისაზღვრება 1500 ლარით. წლის განმავლობაში 138 ახალშობილის ოჯახზე გაწეული დახმარება შეადგენს 23,0 ათ. ლარს. 2019 წელს ამ მიმართულებით დახარჯულია 25,9 ათ. ლარი.

06 03 16 ომის ვეტერანთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა დაკრძალვა დაკრძალვის ხარჯი შეადგენს 250 ლარს და ამი მიმართულებით დახარჯულია 0,5 ათ. ლარი.

06 03 17 სტიქიური მოვლენების, ხანძრის შედეგად დაზარალებულთა და მძიმე საცხოვრებელი პირობების მქონე მოქალაქეთა მატერიალური დახმარება მოიცავს სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებულ და მძიმე საცხოვრებელი პირობების მქონე მოქალაქეთა დახმარებას და უსახლკარო პირთა მინიმალური

საცხოვრებლით უზრუნველყოფას. 2020 წელს ბინის ქირით უზრუნველყოფით 3 მოქალაქეს, თვეში 100 ლარის ოდენობით. ამ მიმართულებით დახარჯულია 2,54 ათ. ლარი. გასულ წელს ლევანში მომხდარი სტიქიის შედეგად დაზარალებული მოქალაქეების დასახმარებლად დახარჯულია 91,345 ათ. ლარი, ხოლო სტიქიის შედეგად დაზარალებული და მძიმე საცხოვრებელი პირობების მქონე 42 ოჯახზე გაწეული დახმარება შეადგენს 53,3 თ. ლარს. სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილია 18,7 ათ. ლარი. ჯამში ქვეპროგრამით დახარჯულია 165,9 ათ. ლარი.

06 03 18 უფასო სასადილოს დაფინანსება წლის დასაწყისში განისაზღვრა 97,0 ათ. ლარით. დაზუსტების შედეგად გეგმა შეადგენს 114,0 ათ. ლარს. ფაქტიური ხარჯი გაწეულია 113,7 ათ. ლარი. საგანგებო მდგომარეობის გამოცხადების შემდეგ დახმარება მოწყვლად ჯგუფებზე გაიცა 2 ეტაპად: პირველ ეტაპზე სურსათი გაიცა 70+ მარტოხელა 200 მოქალაქეზე, სასურსათო კალათის ღირებულება შეადგენდა 6500 ლარს, მეორე ეტაპზე – გაიცა სხვადასხვა მოწყვლად ჯგუფზე და დაიხარჯა 5508 ლარი.

06 03 19 სოციალური დაცვის ობიექტების რეაბილიტაცია და ინვენტარით უზრუნველყოფა. გეგმა - 10,0 ათ. ლარი. ბავშვთა ადრეული განვითარების მომსახურების დანერგვის მიზნით გამოცხადებული საგრანტო კონკურსის მეშვეობით ხარაგაულში იწყება 0-დან 7 წლამდე ასაკის ბავშვების ადრეული განვითარების მომსახურება, რომელიც გათვლილია 30 ბავშვზე, ამ მიზნით გარემონტდა, ადაპტირდა და ინვენტარით აღიჭურვა შესაბამისი ფართი, რისთვისაც დახარჯულია 9,1 ათ. ლარი.

მმართველობა და საერთო დანიშნულება - პროგრამული კოდი 01 00 მუნიციპალიტეტმა დაგეგმილი 2 497,1 ათასი ლარიდან გაწია 2 298,9 ათასი ლარი, წინა 2019 წელთან შედარებით 172,1 ათასი ლარით ნაკლები, 2019 წელს 2 471,1 ათასი ლარი იყო გაწეული

ცხრ. N 11

ორგ. კოდი	ხარაგაულის მუნიციპალიტეტი	2020 წლის გეგმა			2020 წლის შესრულება			წლიური გეგმის შესრულების პროცენტი
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის		
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები	
01 00	მმართველობა და საერთო დანიშნულება	2 497,100	67,080	2 430,0	2 298,9	64,478	2 234,473	92,1
01 01	საკანონმდებლო და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსება	2 399,139	67,080	2 332,1	2 215,123	64,478	2 150,645	92,3
01 01 01	ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულო	631,534	0,0	631,534	601,464	0,000	601,464	95,2
01 01 02	ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერია	1 679,647	1,080	1 678,567	1 536,430	0,000	1 536,430	91,5
01 01 03	სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახური	79,958	66,0	13,958	73,939	64,478	9,461	92,5
01 01 04	კადრების მომზადება-გადამზადებასთან, კვალიფიკაციის ამაღლებასა და სტაჟირებასთან დაკავშირებული ხარჯი	8,0	0,0	8,0	3,290	0,000	3,290	41,1
01 02	საერთო დანიშნულების ხარჯები	97,961	0,0	98,0	83,8	0,000	83,828	85,6
01 02 01	სარეზერვო ფონდი	9,1	0,0	9,1	0,000	0,000	0,000	0,0
01 02 02	წინაპერიოდში წარმოქმნილი და ვალდებულებების დაფარვა და სასამართლოს გადაწყვეტილებების აღსრულების ფინანსური	5,0	0,0	5,000	0,000	0,000	0,000	0,0

ორგ. კოდი	ხარაგაულის მუნიციპალიტეტი	2020 წლის გეგმა			2020 წლის შესრულება			წლიური გეგმის შესრულების პროცენტი
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის		
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები	
	უზრუნველყოფა							
01 02 03	მუნიციპალიტეტის ვალდებულებების მომსახურება და დაფარვა	83,9	0,0	83,9	83,8	0,000	83,828	99,9

აქედან მუნიციპალიტეტის საკრებულო დაგეგმილი 631,5 ათასი ლარიდან დაფინანსდა 601,5 ათასი ლარით, მუნიციპალიტეტის მერია 1 679,6 ათასი ლარიდან 1 536,4 ათასი ლარით. და სამხედრო აღივსვისა და გაწვევის სამსახურის ხარჯების დაფინანსებაზე დაიხარჯა 74,0 ათასი ლარი, მ.შ. 64,5 ათ. ლარი მიზნობრივი ტრანსფერით

მუნიციპალიტეტის 2020 წლის წლიური სარეზერვო ფონდი თავდაპირველად განისაზღვრებოდა 50,0 ათასი ლარით, წლის განმავლობაში მოხდა შევსება 30,0 ათასი ლარით.

მუნიციპალიტეტის სარეზერვო ფონდიდან თანხის განკარგვის მიზნით შექმნილი კომისიის რეკომენდაციის საფუძველზე მერის ბრძანებით განაწილებულია 70,939 ათასი ლარი, აქედან, 68,939 ათ. ლარი მთლიანად სოციალურ პროგრამებზე მიიძღრება. მ.შ.

- 17,039 ათ. ლარი სამკურნალო-საოპერაციო ხარჯებით დახმარების პროგრამაში;
- 5,6 ათ. ლარი მიმართული იქნა შშმ პირთა დახმარებაში;
- 27,0 ათასი ლარი ერთჯერადი დახმარების სახით „COVID -19“ გავრცელების აღკვეთის მიზნით ქვეყანაში შექმნილი საგანგებო მდგომარეობის გამო მოქალაქეთა.
- 0,6 ათ. ლარი სოციალურად დაუცველ და უპატრონო მიცვალებულების დაკრძალვის პროგრამაზე;
- 18,7 ათასი ლარი სტიქიური მოვლენების, ხანძრის შედეგად დაზარალებულთა და მძიმე საცხოვრებელი პირობების მქონე მოქალაქეთა მატერიალური დახმარება
- 2,0 ლარი მიმართულია მოსახლეობის საზოგადოებრივი ტრანსპორტით უზრუნველყოფის პროგრამაში საგარეუბნო მატარებლის (ხაშური-ზესტაფონი) მიმოსვლის შეზღუდვით გამოწვეული, მოქალაქეების სატრანსპორტო საშუალებით გადაადგილების დაბრკოლების თავიდან აცილების მიზნით საწვავის შესაძენად.

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპების და სსიპ-ის 2020 წლის წინააღმდეგობის ბიუჯეტის შესრულება.
ცხრ. N 12

ა(ა)იპების დასახელება	მომუშავეთა რაოდენობა	2020 წლის დამტკიცებული გეგმა	2020 წლის დაუსრულებული გეგმა	2020 წლის შესრულება	მათ შორის				სკუთარი შემოსავლები გეგმით			სკუთარი სახსრ. ხარჯვა ფაქტურად		
					შრომის ანაზღაურება	შტატ. მომუშავეთა ანაზღაურება	სხვა დანარჩენი ხარჯები	არაფინანსური აქტივების ზრდა	სულ	მ.შ		სულ	მ.შ	
										შრომის ანაზღაურება	სხვა ხარჯები		შრომის ანაზღაურება	სხვა ხარჯები
სულ ა(ა)იპ დასუფთავებისა და კეთილმოწყობის გაერთიანება მ. შ.	173	1080,0	1143,3	1114,5	802,8	0,0	275,6	36,1	4,5	0,0	4,5	4,5	0,0	4,5
გარე განათების ქსელის ექსპლუატაცია	10	171,0	169,0	166,6	66,6	0,0	100,0	0,0	0,7	0,0	0,7	0,7	0,0	0,7
დასუფთავება და ნარჩენების გატანა	126	728,1	808,4	785,0	587,5	0,0	161,3	36,1	3,8	0,0	3,8	3,8	0,0	3,8

ა(ა)იპების დასახელება	მომუშავეთა რაოდენობა	2020 წლის დამტკიცებული გეგმა	2020 წლის დაზუსტებული გეგმა	2020 წლის შესრულება	მათ შორის				სკუთარი შემოსავლები გეგმით			სკუთარი სახსრ. ხარჯვა ფაქტურად		
					შრომის ანაზღაურება	მტ. ტმ. მომუშავეთა ანაზღაურება	სხვა დანარჩენი ხარჯები	არაფინანსური აქტივების ზრდა	სულ	მ.შ		სულ	მ.შ	
										შრომის ანაზღაურება	სხვა ხარჯები		შრომის ანაზღაურება	სხვა ხარჯები
მწვანე ნარგავების მოვლა-პატრონობა	37	172,4	160,4	158,1	148,6	0,0	9,4	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
უპატრონო ცხოველების იზოლაცია		8,5	5,5	4,9		0,0	4,9	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
ა(ა)იპ ე.კიკნაძის სახელობის სკოლამდელ დაწესებულება თა გაერთიანება	252	1390,0	1324,0	1268,1	992,2	0,0	217,8	58,1	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
სსიპ ბორის სკოლა პანსიონი	20	80,0	80,0	80,0	73,0	0,0	7,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
ა(ა)იპ მოსწავლე ახალგაზრდობის სახლი	23	110,0	110,0	110,0	102,8	0,0	7,2	0,0	0,6	0,4	0,2	0,4	0,2	0,2
ა(ა)იპ სპორტისა და მიდატურიზმის ცენტრი	67	375,0	335,5	335,5	317,5	0,0	18,0	0,0	2,6	0,0	2,6	2,6	0,0	2,6
ა(ა)იპ შ.ბუაჩიძის სამუსიკო სკოლა	18	125,0	122,0	118,9	113,0	0,0	4,7	1,1	1,7	0,7	1,0	0,0	0,0	0,0
ა(ა)იპ კულტურისა და ხელოვნების ცენტრი	117	665,0	630,5	625,3	556,3	5,2	53,5	10,3	2,1	0,9	1,2	1,9	0,8	1,1
ა(ა)იპ მოქალაქეთა ჩართულობისა და ინფორმირების მუნიციპალური ცენტრი	6	50,0	50,0	50,0	39,3	0,0	10,7	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
ა(ა)იპ საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის ცენტრი	19,5	125,0	135,0	133,7	113,4	4,5	14,6	1,2	15,0	12,6	2,4	14,9	12,6	2,2
ა(ა)იპ სათნობის სახლი	8	97,0	114,0	113,7	55,2	0,0	58,5	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
ფოლკლორი	2	20,7	20,7	20,7	20,7	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
სულ	705,5	4117,7	4065,0	3970,5	3186,1	9,8	667,8	106,8	26,5	14,6	11,9	24,3	13,7	10,6

2020 წლის დამტკიცებული ბიუჯეტით მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ-ებისათვის გადასაცემი სუბსიდია შეადგენდა 4 117.7 ათას ლარს, მთელი ბიუჯეტის 49,0 %-ს, წლის განმავლობაში განხორციელებული

საბიუჯეტო ცვლილებების შედეგად ზოგიერთ ა(ა)იპ-ს გაეზარდა სუბსიდია, ხოლო ზოგიერთს ქვეყანაში გავრცელებული კოვიდპანდემიის გამო შეუვიწყრდათ სუბსიდია ცხრ. N 12. მთლიან ჯამში კი ა(ა)იპების სუბსიდია შემცირდა 52,7 ათ. ლარით და განისაზღვრა 4065,0 ათასი ლარი, ფაქტიურად ა(ა)იპებს მიღებული აქვთ 3 970,5 ათ. ლარის სუბსიდია და 26,5 ათასი ლარის საკუთარი შემოსავლები.

ა(ა)იპ დასუფთავებისა და კეთილმოწყობის გაერთიანების სუბსიდია 1080,0 ათასი ლარი გაიზარდა 63,3 ათ. ლარით და განისაზღვრა 1143,3 ათასი ლარით, თუმცა გაერთიანებაში შემავალ მიმართულებებს შეუმცირდა სუბსიდია და ზრდა მოხდა ნარჩენების გატანის პროგრამის ხარჯზე. ფაქტიურად სულ დახარჯულია 1 114,5 ათასი ლარი, აქედან 802,8 ათასი ლარი - 72 % შრომის ანაზღაურებას მოხმარდა, 36,1 ათასი ლარი არაფინანსური აქტივების ზრდაზე იქნა მიმართული ხოლო 275,6 ათასი ლარი დანარჩენ ხარჯებზე. ასევე საკუთარი შემოსულობები 4,5 ათასი ლარი მთლიანად მოხმარდა დანარჩენ ხარჯებს.

ა(ა)იპ სკოლამდელ დაწესებულებათა გაერთიანებას ასევე ცნობილი მოვლენების გამო შეუმცირდა სუბსიდია 1390,0 ათ. ლარი 66,0 ათასი ლარით და განესაზღვრა 1324,0 ათასი ლარი, ხოლო ფაქტიურად დახარჯა 1268,1 ათასი ლარი, მ.შ. ხელფასებზე 992,2 ათასი ლარი - 78,2 %, 58,1 ათასი ლარი მოხმარდა არაფინანსური აქტივების ზრდას და 217,8 ათასი ლარი სხვა დანარჩენ ხარჯებზე დაიხარჯა.

სსიპ ბორის საჯარო სკოლა-პანსიონმა 2020 წლის სუბსიდია 80,0 ათასი ლარი სრულად აითვისა, საიდანაც 73,0 ათ. ლარი - 91,2% ხელფასებზე დაიხარჯა და დარჩენილი 7,0 ათასი ლარი სხვა დანარჩენ ხარჯებზე მიიმართა.

ა(ა)იპ მოსწავლე ახალგაზრდობის სახლმა კუთვნილი სუბსიდია 110,0 ათასი ლარი ასევე სრულად აითვისა, საიდანაც ხელფასებს 102,8 ათასი ლარი - 93,4 % მოხმარდა და 7,2 ათასი ლარი დანარჩენ ხარჯებს. საკუთარი შემოსავლები მიიღო 640 ლარი და დახარჯა 445 ლარი(მ.შ. 0,220 ათ. ლარი ხელფასი და 0,225 ლარი სხვა ხარჯი) . სხვაობა ერიცხება ნაშთში.

ა(ა)იპ სპორტისა და შიდა ტურიზმის ცენტრის სუბსიდია 375,0 ათასი ლარი შემცირდა 39,5 ათასი ლარით და განისაზღვრა 335,5 ათასი ლარი, რომელიც სრულად იქნა ათვისებული, აქედან 317,5 ათ. ლარი - 94,6 % ხელფასებს მოხმარდა, ხოლო და 18,0 ათასი ლარი სხვა დანარჩენ ხარჯებს. წლის განმავლობაში მიიღო 2,6 ათ. ლარის საკუთარი შემოსავალი და სხვა დანარჩენ ხარჯების დაფინანსებას მოახმარა.

ა(ა)იპ სამუსიკო სკოლას წლიური სუბსიდია 125,0 ათასი ლარი შეუმცირდა 3,0 ათ. ლარით და განესაზღვრა 122,0 ათასი ლარი. ფაქტიურად აითვისა 118,9 ათასი ლარი, აქედა ხელფასებზე 113,0 ათ. ლარი -95,0 %, 1,1 ათ. ლარი არაფინანსური აქტივების ზრდაზე და 4,7 ათ ლარი საოფისე ხარჯებში. 2020 წელს მიიღო 1,650 ათ. ლარის საკუთარი შემოსავალი, საიდანაც დახარჯა მხოლოდ 0,850 ლარი, აქედან 0,650 ლარი ხელფასის და 0,2 ათ. ლარი სხვა ხარჯების დაფინანსებაზე, ამასთან წლის დასწყისში ერიცხებოდა საკუთარი შემოსავლების ნაშთი 3,142 ლარი და წლის ბოლოს აუთვისებელი ნაშთის სახით 4,308 ლარი ერიცხებოდა.

ა(ა)იპ კულტურისა და ხელოვნების ცენტრის სუბსიდია 665,0 ათასი ლარი შემცირდა 34,5 ათ. ლარით და განისაზღვრა 630,5 ათასი ლარით, საიდანაც აითვისა 625,3 ათასი ლარი, აქედან 556,3 ათასი ლარი - 88,9% ხელფასებს მოხმარდა, 10,3 ათასი ლარი არაფინანსური აქტივების ზრდაზე დაიხარჯა და 5,2 ათასი ლარი საოფისე ხარჯებზე. 2020 წლის განმავლობაში მიიღო 2,050 ათასი ლარის საკ. შემოსავალი, საიდანაც დახარჯა 1,870 ლარი, მ.შ. 0,820 ლარი ხელფასების და 1,050 ათ. ლარი სხვა დანარჩენი ხარჯების დაფინანსებაზე. სხვაობა ერიცხება ნაშთად.

ა(ა)იპ მოქალაქეთა ჩართულობისა და ინფორმირების ცენტრმა გამოყოფილი 50,0 ათასი ლარი სრულად აითვისა, საიდანაც 39,3 ათასი ლარი-78,6% ხელფასებზე და 10,7 ათასი ლარი სხვა დანარჩენ ხარჯებზე დახარჯა.

ა(ა)იპ საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის ცენტრს სუბსიდია 125,0 ათასი ლარი კოვიდპანდემიის გამო გატარებულ ღონისძიებებთან დაკავშირებით გაეზარდა 10,0 ათასი ლარით და განესაზღვრა 135,0

ათ. ლარი, აითვისა 133,7 ათასი ლარი, საიდანაც ხელფასებზე დახარჯა 113,7 ათასი ლარი -84,8 %, 1,2 ათასი ლარი არაფინანსური აქტივების გაზრდაზე და 4,5 ათასი ლარი სხვა დანარჩენ ხარჯებზე. საკუთარი შემოსულობები მიიღო და ითვისა 15,0 ათასი ლარი, საიდანაც 12,647 ლარი ხელფასების და 2,248 ათ. ლარი სხვა ხარჯების დაფინანსებას მოხმარდა.

ა(ა)იპ სათნოების სახლის სუბსიდია 97,0 ათასი ლარი გაიზარდა 17,0 ათასი ლარით და განისაზღვრა 114,0 ათასი ლარით, საიდანაც ათვისებული იქნა 113,7 ათასი ლარით, მ. შ. 55,2 ათასი ლარი - 48,5% ხელფასებზე, და 58,5 ათასი ლარი კვებასა და საოფისე ხარჯების დაფინანსებაზე. ფოლკლორის ხელშეწყობის სახლს გრანტის სახით მოხმარდა 20,7 ათასი ლარი.